ეროვნული სააგენტოს 04/11/2022 წლის N 21/6650 წერილი

#	სააგენტოს შენიშვნა	პროეატის ავტორის პასუხი
1	სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია მდ. ცხენისწყალში გავრცელებულ წყლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე (განსაკუთრებით თევზებზე), პროექტის განხორციელებით მასზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების ღონისძიებებზე;	შენიშვნა გათვალისწინებულია
2	წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ მთლიანი 16 869 მ2 ფართობიდან, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 11 852 მ2 წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს (ლენტეხის სატყეო უბნის ლაშხეთის სატყეოს, კვარტალი N114, ლიტერი N33). სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისთვის ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ.	შენიშვნა გათვალისწინებულია
3	სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან, ხოლო	საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობების სიახლოვეს ხილული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ნაპირსამაგრი სამუშაოების წარმოების დაწყებამდე მოხდება საქმიანობის შეთანხმება საქართველოს

	მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, აღნიშნულიდან გამომდინარე, დოკუმენტაციაში წარმოდგენილ უნდა იყოს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან.
4	პროექტის ჰიდროლოგიური ანგარიშის N2 და N3 ცხრილებში მოცემული წყლის საანგარიშო ხარჯის მნიშვნელობები არ ემთხვევა ერთმანეთს; სკრინინგის განცხადების გრაფიკულ ნაწილში მოცემული კალაპოტის ზოგადი წარეცხვის სიღრმის მნიშვნელობები არ ემთხვევა ჰიდროლოგიურ ნაწილში მოცემულ კალაპოტის წარეცხვის სიღრმის მონაცემებს;	შენიშვნა გათვალისწინებულია წარმოდგენილია შესწორებული საპროექტო დოკუმენტაცი
5	დასაბუთებას საჭიროებს საპროექტო დამბის განსხვავებული დაშორება წყლის მაქსიმალური დონიდან (სხვადასხვა კვეთებში დაშორება იცვლება 1,48 მეტრიდან 2,33 მეტრამდე);	შენიშვნა გათვალისწინებულია წარმოდგენილია შესწორებული საპროექტო დოკუმენტაცი
6	ჰიდროლოგიურ ნაწილში მოცემული ყველა ფორმულა უნდა განმარტებული იყოს შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობებით.	შენიშვნა გათვალისწინებულია წარმოდგენილია შესწორებული საპროექტო დოკუმენტაცი